ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

პროექტი: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერება საქართველოში

პროექტი მიზნად ისახავს გააგრძელოს ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა მართლმსაჯულების გაძლიერების მიზნით; ასევე, ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გააძლიეროს სახელმწიფო ინსტიტუტები, იურიდიული და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. და ამ სტანდარტების გამოყენებით ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში, 2023 წლიდან 2027 წლამდე პერიოდში. იგი ეფუძნება მართლმსაჯულების გაძლიერების სფეროში ამავე პროგრამის პირველი და მეორე ფაზებისას მიღწეულ შედეგებს (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

პროექტის მიზანი

- წვლილი შეიტანოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის გაუმჯობესებაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის გაძლიერებით საქართველოში.

ვინ ისარგებლებს პროექტით?

- გენერალური პროკურატურის ოფისი
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი
- საქართველოს პარლამენტი
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- იურდიული პროფესიის წარმომადგენლები, მოსამართლეები, ადვოკატები და სამართალდამცავი პირები
- სამოქალაქო საზოგადოება

მეთოდოლოგია

- პოლიტიკის /კანონმდებლობის განახლების, შესაძლებლობების განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების კომბინაციით.

მოსალოდნელი შედეგები

- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობის ხელშეწყობა;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და

ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობით თანმიმდევრული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიღწევა;

- ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად სასამართლოების ეფექტურობისა და მოსამართლეთა ცოდნის გაზრდით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე განხორციელება გაუმჯობესებულია.

პროექტის ბიუჯეტი

- საერთო ბიუჯეტი არის 1 305 000 ევრო.
- პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 19.3 მლნ ევროს (80% თანადაფინანსებულია ევროკავშირის და 20% ევროპის საბჭოს მიერ)

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი გრძელდება 2023 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 28 თებერვლამდე

როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის
  ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  email: dpc_pgg@coe.int
- ევროპის საბჭოს ოფისი თბილისში
  ვებგვერდი: www.coe.int/tbilisi
  email: informtbilisi@coe.int

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“(PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.

PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.